



კლასი



მათემატიკური ოლიმპიადა

1) რიცხვში 342 ლაშამ ციფრები ისე გადაანაცვლა, რომ მიიღო კენტი სამნიშნა რიცხვი, რომელიც ნაკლები აღმოჩნდა თავდაპირველ რიცხვზე.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რიცხვში 342 ციფრების განანაცვლების შემდეგ როგორი რიცხვი მიიღო ლაშამ?

- 1) კენტი ორნიშნა 2) ლუწი სამნიშნა 3) კენტი სამნიშნა

2 ბ) ლაშას მიერ მიღებული რიცხვი მეტია, თუ ნაკლები თავდაპირველ რიცხვზე?

- 1) მეტია 2) ნაკლებია 3) ტოლია

5 გ) რა რიცხვი მიიღო ლაშამ?

- 1) 243 2) 324 3) 423

2) ლექსოს მთელი თავისი ფულით 2 ერთნაირი ბლოკნოტის ყიდვა შეეძლო, მაგრამ მან 3 ათთეთრიანი ფანქარი იყიდა, რის შემდეგაც 50 თეთრი დარჩა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რამდენი ათთეთრიანი ფანქარი იყიდა ლექსომ?

- 1) ორი 2) სამი 3) ოთხი

2 ბ) რამდენი თეთრი დარჩა ლექსოს?

- 1) 0 თეთრი 2) 40 თეთრი 3) 50 თეთრი

5 გ) რამდენი თეთრი ჰქონია ლექსოს თავდაპირველად?

- 1) 50 თეთრი 2) 80 თეთრი 3) 130 თეთრი

7 დ) რა ღირს ერთი ბლოკნოტი?

- 1) 25 თეთრი 2) 40 თეთრი 3) 80 თეთრი

3) მაგიდაზე იდო ლურჯი ფანქარი, ყვითელი ფლომასტერი და წითელი პასტა. ნათიამ და დიმამ მაგიდიდან აიღეს თითო-თითო ნივთი. ნათიას არ აუღია ფლომასტერი, დიმას აღებული ნივთი კი წითელია. რა ფერია ნათიას აღებული ნივთი?



- 1) ლურჯი 2) ყვითელი 3) წითელი